1915 | 6

შაბათი 12 ენკენ. | ფასი 10 კ. | № 37—1915

ვაჟა-ფშაველა საკუთარ კარ-მიდამოზე

12 ენკენისთვე

თოსნობა და სიფხიზლე

ბეჯითი ფქვავდა—ბედოვლათი რიგს უცდიდაო,—სწორედ ჩვენზეა თქმული...

ვინ არ გინდა გაფაციცებით მუშაობს თავის ყოფა-ცხოვრების მოსაწყობად, ჩვენ კი ან უკუდო ხარის როლ ვასრულებთ, ან კი სეირს უცქერით, ან საკუთარ კოლოფებში ჩაკეტლნი საბნის ბუშტებით „ვეომებით“ ურთიერთს...

არამც თუ ქალაქი, არამედ დაბა-სოფელიც ლამის უცხოელებმა ჩაიგდონ ხელში ვაჭრობით, მიწა-წყალით, კულტურით...

ბოლოს ხელოვნების დარგშიაც შემოიპრნენ ნაირი ჯურის მწარმოებელნი,—კინემატოგრაფ-სინემატოგრაფთა გამგენი ანუ უცხო დასნი,—და ჩვენი მსახიობნი კი მხოლოდ იმითი ირთობენ თავს, რომ კვირაში რამდენიმე უბრალო გასართობ-შინტანური წარმოდგენის გამართვენ სადღაც ფანჩატურში..

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრის მოთხოვილება რომ იზრდება, ეს ცხადია: ხალხი თავისი შინაგანის ლტოლვილებით ეტანება ხელოვნების ტაძარს და თუ მის სულიერ მოთხოვნილებას გზა არ მივეცით, დროით რიგიანი თეატრი არ შეექმენით, შეიძლება ქართულ თეატრს ჩამოშორდეს...

ამიტომ ბედოვლათურად სეირის ყურება კი არ შეგვფერის, არამედ სიფხიზლე-თვოსნობის გამოჩენა...

თბილისში მოწინავე მუშა-ხელოსნებმა უკვე შეჰქმნეს თავისი თეატრი, და, საბედნიეროდ. საქმეც სასურველად მიდის (მხედველობაში გვაქვს ზუბ. სახ. სახ. არსებული წრე), მაგრამ მარტო ეს ვერ დაკმაყოფილებს დემოკრატიულ ინტელიგენციის—ასე ვსთქვათ, ქართველი საშუალო საზოგადოების—მოთხოვნილებას.

თბილისისა და ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებათა გამგეობანი, როგორც სჩანს, თვით ჩამოშორდენ საქმეს. თუ ჩვენი საზოგადოების მაღალი ინტელიგენცია მოუცლელობის, მოქანცვის თუ სხვა მიზეზით ვერ გასძღოლია საქმეს, მაშინ თვით დემოკრატიული ინტელიგენცია უნდა ჩაუდგეს საქმეს სათავეში და ითავოს სათეატრო საქმის გაძღოლა... ასევე უნდა მოიქცეს ქუთაისი, სადაც რიგიან სახალხო თეატრს დიდი ასპარეზი ეძლება...

ომის ქარცეცხლთან ახლო მყოფ ბათომის და ფოთის სცენის მოტრფიალეთ ვერ ვუსაყვედურებთ, მაგრამ ის კი უნდა იქონონ მხედველობაში, რომ პირველ საუკეთესო შემთხვევისთანავე გაეჩაღონ მუშაობა...

ამ მხრით ძალზე ჩამორჩენილია გორი, ოელავი, სიღნაღი, კავკავი და სხვა სხვილი ადგილ-ქალაქნი, სადაც უბრალო გასართობია ფრთა გაშლილი ანუ ხშირად უცხო დასნი მკიან მაშინ, როდესაც ქართველთა მოსახლეობა დიდია და თითო ჰატარა სცენის მოყვარეთა დასის შენახვა, რომელიმე გამოცდილ მსახიობის ხელმძღვანელობით, საზოგადოებას ადვილად შეეძლო...

შინ, რას მოუალათნიათ ჩვენს მსახიობთ? ნუ თუ თვოსნობას არ გამოიჩენენ, გარედ ნაბიჯს არ გადასდგავენ და მუდამ სხვის ხელშემყურებელნი იქნებიან?

მსახიობი პირისპირ უნდა წარუდგეს ხალხს და ხელოვნების საშუალებით მოუკლას გათვითცობიერების წყურვილი.

წვიმის სიმღერა

მე სიხარულს ცრემლი ვარ,
ეუეუნა წვიმად ქცეული,
უფლის თვალ-მარგალიტებ.დ
წვეთ-წვეთად ჩამოფრქვეული!

წმიდაა ჩემი განზრახვა,
ჩემი ნატვრა და სურვილი:
მინდა ქვეყანას ვესხურო,
მოვუკლა გულის წყურვილი!



უხილავს

უხილავმა აანთო ჩემს გულში სანთელი სიცოცხლისა.

ეს ღვთაებრივი სხივი ღვივის ჩემს სულში.

დიდხანს ვიდოდი მე ქვეყნად... სინათლის სხივთა კონა თანდათან ძლიერდებოდა.

მაგრამ ვიღაცამ ამ სანთლის ჩაქრობა მოინდომა, მხოლოდ არ ჩაქრა ის, ისევ ძველებურად ისროდა ირგვლივ სხივთა ისრებს.

—„იგი სანთელი რომ ჩამქრალიყო, რა იქნებოდა?—წამჩურჩულა იდუმალმა ხმამ. „რა იქნებოდა, დიაღ, დიაღ რომ სცოცხლობ რისთვის სცოცხლობ და რომ მომკვდარიყავ, ვის რა დააკლდებოდა?!.«

მე პასუხი ვერ გავეცი ამ იდუმალ ხმას, დავფიქრდი... დავფიქრდი... დავფიქრდი და მაშინ მივხვდი, რომ უხილავმა, როდესაც აანთო ჩემში სანთელი სიცოცხლისა—არა სთქვა, თუ რისთვის ანათოს, ან ვის უნათოს მან... დიაღ, მას არ უთქვამს ჩემთვის, თუ რა იყო მიზანი ჩემ. ქვეყნად მოვლენისა.

და მე არ ვიცოდი?!

—„არ იცოდი!—მეძახდა იდუმალი ხმა: „გაიგე, ეძიე!..“

და მე გეძებ შენ, უხილავო, გეძებ ყველგან—სამლოცველოში, სადაც მუხლ-მოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ქილარჯიშვილი
ბაქოს დრ. წრის მიერ მიწვეული.

ალ. ბადრიძე
სახალხო სახლის რეჟისორის თანაშემწე.

1904 5219

რეკილნი ცხარე ცრემლის ფრქვევით გეველ-რებიან და მადლობას გწირავენ; ბუნების წიაღზე—ტყეში, სადაც იდუმალი მყუდროება სუფევს; მინდორ-ველში, სადაც გაზაფხულის სიო ყვავილებისაგან გაგზავნილ კოცნას ტყისაკენ მიაქროლებს; სადაც ცივი ზამთრის ქარი ხარხარებს და სისინებს, თითქოს მცივანთა და მაშვრალთა დასცინისო; ზღვისა და მდინარის პირას, სადაც მოუსვენარი ლურჯი აქაფებული ტალღები ერთმანეთს ხვდებიან; გეძებ, უხილავო, გეძებ რომ გკითხო — რა იყო მიზეზი ჩემი გაჩენისა, რა არის მიზანი ჩემი ცხოვრებისა?!

მაგრამ ვერსად გიხილე... მე შენ დამტოვე... გამაჩინე და მიმატოვე.

მე გეძებდი შენ, ხოლო დემონთან დამედევნა. მოდიოდა ჩემს საოცელთან და ტუბილი ხმით წამჩურჩულებდა:

— ყველაფერს, ყველაფერს, რასაც კი მოისურვებ, მოგცემ შენ, თუ ჩემი გზით იარ, ვინაიდან მე ვარ დმერთი სინათლისა, დმერთი კვლევისა და ძიებისა!.. მომყევ მე და მაშინ იხილავ, თუ რა არის სიცოცხლე, რისთვის მოხველ ქვეყნად. წამო, წამო... ავხსნი ფარდას ყველა საიდუმლოებას, ყველაფერს გეტყვი, ყველაფერს გაიგებ!..

მე კი შენ გელოდი, უხილავო, რათა შენ აგიხსნა ჩემთვის ამოცანა სიცოცხლისა, მაგრამ ვერ გპოვე. შენ კი არ მოხველ ჩემთან. დემონი ისევ ჩამომძახოდა:

— მე, მე აგიხსნი საიდუმლოებას!..

გეძებდი, უხილავო, და ვერ გპოვე შენ.

მაგრამ თუ შენ უხილავად ბუნების ყოველ კუთხეში სუფევ—მე აი, აქ, ამ ძველი ტაძრის ნანგრევებზე ვიდრეკ მუხლს შენს წინაშე, ყოველად შემძლებელო, და შენი მონა, შენი ფერხთა მტვერი გევედრები მიპასუხო:

— რისთვის გამაჩინე, რად განსაზღვრე სიცოცხლე ჩემი, გევედრები განმარტო მიზანი ჩემი ცხოვრებისა...

. . . . . .

— არ მაძლევ პასუხს?!.

მაშ ისევ უნდა ვიარო ქვეყნად, ვით წყვდიადით მოცულ უდაბნოში? მაშ ვერ ავხსნა მიზანი ცხოვრებისა, ვერ ვიპოვო ძალა სიკვდილზე ძლიერი?!

...და როდემდის?!!

ისევ შენ, შენ მოგმართავ, დემონო, დმერთო კვლევისა და ძიებისა—შენ მომეც ძალა გაუმკლავდე ულმობელ სიკვდილს, ახადე ფარდა საიდუმლოებათა შენთა, ჩამოხსენ შავი რიდე შენს სამფოში შესასვლელ კარებს.. მასწავლე, როგორ შევებრძოლო სიკვდილის შავ აჩრდილს, მაჩვენე გზა, რომლითაც, ჯანღონით სავსემ ვიბრძოლო და გავხსნა ჯადოსნური კვანძი ჩემი ცხოვრებისა!

მე შენთან მოვალ!..

დაე, იგრგვინოს ცამ, იმრისხანოს, აენთოს ცეცხლად—მე მან ვერ მომცა, რაც უნდოდა სულს დაობლებულს; მან არ გამოსცა რამ პასუხი მაძიებელ სულს! .

აწ სხვა გზით ვივლი...

კვალად ვძებნი ყოფნის გასაღებს და გარდავქმნი სულს!..

ბენიაბ

გოგოთურ დაფშინა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 36)

. . . . . .

ქართველი ანსებითად წინააღმდეგი იყო სხვისა ჩაგვრისა.

„აი ეს მცნება ძველთაგან
შეგვითვისნია ქართველებს:
ერის ზნეს, ენას და სჯულსა
ნურავინ გაანადგურებს.

4 თ ი ა ტ რ ი ‌ ‌ ‌

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისი გარდაცვალებამდის რამდენიმე დღის წინად: „კაცო, ნუ მოგკლავთ ამ ოთხ კედელ შუა, გამისტუმრეთ ჩემს მთებისკენ, იქაური ჰაერი მარგებს, აქ სული მეხუთება, პაპანაქება მომიდნობია. („საქართველო“ № 56) და კიდევ: „ვანო (ავადმყოფი) სოფელში მინდა, მთაში. ნეტავი, ნიავო, ჩემამდის მოაღწიო, ერთი ნეტა სიიდანმე მოვიდოდეს თავსხმა და ერთი კარგა დამასველებდეს და დამალობდეს“. („სასაფლაო ფურცელი“ № 348)

გასაკვირადაა ამ სიტყვების და გოგოიურის სიტყვების იგივეობა.. მოეტის სული თითქო კრძნობდა რომ მას სნეულებისგან განკურნებს არა „სახელმწიფოს მედიცინის“ საეკლო შსამიანი საშუალებანი, არა ცარიელ წყალებუდაილაპატია, არამედ მკურნალობის ბუნებრივი საშუალებანი, მშობლიური მთის სიცი ჭაერი, ცივი წყალთა ქქიმობა და ოკრეზობა ჭკამა-სმის მხრით.

ილ. ფერაძე

(გაგრძელება იქნება)

ოსმალეთი და საქართველო

(ბეჭარის დღევანდელ მდგომარეობის გამო)

II

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უძეს დიდი ზღვარი“.

...ქართველები ეთვალთვლის და ეთვალგან მეტად დიდი წარმოდგენის ვიუცვთ თავის თავზე და სწორედ ამან დაღუპა ჩვენი ქვეყანა. თუმცა, სიმართლე რომ გსთქვათ, ქართველებს ეთვალთვის შეუძლიათ დაიკვეხონ, რომ იგინი ეთვალგან თავდასჩინო როლს თამაშობდენ კავკასიაში. ქართველებმა თავისი „შე“-ც კავკასიის სხვა ერებზე უფრო მეტრად და ხანგრძლივად დაიტვეს. მაგრამ განა ეს საკმარისია? ეთვალთ შეთხეევაში ეს ხომ წარსულს ჩაბარდა.. დღესაც დღეს ჩვენ კეკლსმის მხოლოდ სიტყვები: „თავს არეს უნრი, ქედს არ ეიდრეკო“. ნამდვილად კი წინასწარმეტყველ ეხვალვთ.

ამა დასკვირდეთ სინამდვილეს.. ბეერს ჩვენკანს შეხვედრია ეთფნა ისეთ სახოგადოებაში, კრებაზე, სადამოზე, კლუბში, მატარებელში, ოჯახში და სხვ., ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგებულ მახეში: ჭეიდეენ ჩადის ოსსად მამაპაპეულს მიწა-წყალს და კარბოდენ.

ეს ჩარჩანი კი იმით ნაოსარზე ესახლებოდენ და ასახლებენენ თავისიანებს.

ამნაირის ოინებით დასახლდენ და ეხლაც ესახლებიან ჩვენში უცხოელნი. და ჩვენ რამდენიც უნდა ვიდავოთ ჩვენს ისტორიულს ტერიტორიაზე, თუ კი იქ უმრავლესობა არა ქართველები იქნებიან დასახლებულნი, უარადო წყალის ნაკეთ იქნება.

თუ კავეთელებსწინანებთ დიდი ხნის იდეას ჩვენი ქვეყნის ნებისთი თუ უნებლიეთი სტუმრებისას, ადვილად დავინახავთ, რომ სრულიად „ბუნებრივად“ ბეგეტლეს ხელიდან ტერიტორია, რასაც, რასკვირველია, ოსმალეთის მთავრობაც ხელს უწყობს, რადგან მისთვის მეტად ხელსაყრელია ქართველი მუსულმანები მიაზიდოს თავისაკენ და ქრისტიანები-კი მოაშოროს.

ჩვენ დღესაც ასეთ ოინებს ვხედავთ. ოსმალეთიდან კავმოხვეწილთა დღევანდელი მდგომარეობა, პირველად მაინც, მეტად საზარელ სურათს გვიჩვენებს თავდაწინ. ვინ იქნება ისეთი უსულო-გულო, რომ ის საცოდავი „ბეგეტლები“, რომელნიც ნახევრად შიშველ ტატვეული, მშიერ-მწყურვალი ჭერიან ქუჩა ქუჩა, შარა-გზებზე ვანიდან თბილისამდე, არ შეებრალოს, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც უფრო შესაბრალისია ჩვენი მდგომარეობა, რადგან ამითი უმეტესობა ჩვენში უნდა მოთავსდეს და ეს მაშინ, როცა ჩვენი მიწა-წყალი ჩვენც არ გეყოფინის. ასე რომ ეთვალ შემთხვევაში სავსებით სდება ჩვენზე ხალხური ანდაზა: „ქათამმა სთქვა: რაც დაჭკდეს — ზედ წამაკდეს, არა დაჭკდეს— მაინც დამკდესო.“

„ბედუბეა ასოსმხეთო, ლარჩა სოფლეთი ულოფლოთო“, კაბაბიანი... ჩვენც ვიმეორებთ... მოგალენიც ვართ კავიმეორეთ. . ქართველს არ შეეძლია ეკუდრიდან ეეურის მეზობლის ეგე-ლურებას. მაგრამ... „სიტეეა სხვაა, საქმე სხვაა, შეა ეძეგს დიდი ზღვარი“.

იასე რაჭველი

ქართული სცენის ქურუმნი

მსახიობქალი ნ. დავითაშვილი

ნ. დავითაშვილი

ნ. დავითაშვილი ქართული სცენის ერთ-ერთი ვარსკვლავთაგანია! დიდი ხანია, რაც ქართულ თეატრს უშვირდა ახალი ტალენის მსახიობი და, აი, ბოდოს იმოგვნა კიდეც!

ქალი დავითაშვილი ახალი სკოდის, ახალი გზის მიმდევარია და ამიტომ დიდ სინანულს ვგრძნობ სცენის, მაგრამ მაინც ეს არ შეეგიძლიან არ გამოვთქვა ჩვენი მწუხარება, როდესაც ვხედავთ ჩვენი სცენის სიბერეშიეს, მის სიდარიბე-სისუფლეს და ვერაფერი კი ვეშველება! უფრო ის არი სამწუხარო, რომ მისი ნამდვილი მოთამეკანე-მოსამსახურენი ითელებიან და ინიდებიან.

ასეთი ხვედრი ერგოთ ჩვენს უნიჭიერეს მსახიობთ ნ. ჩხეიძეს და ნ. დავითაშვილს: ერთიც და მეორეც ქართული თეატრის მსვეფლნი ვარან! ორთავეს ცეულ მდგომარეობაში უნდეთო მეშეობა. მერე რაში კამოისტეება ეს ცეული მდგომარეობა?! ამაში, რომ ჩვენი თეატრი ჯერ კიდევ ძიების გზას ადგია, ჯერეც არ იცის თუ რა დანაშნულებას უნდა ემსახუროს, ჯერეც არა აქვს კამოკვლეული და ადენუსხული თავისი მიზანი, თავისი მისწრაფეები! ქართული თეატრის ანტეურაჟი და ბერსონალი უკარგისი და ამასთან შესაბრალისია, მისი რეპერტუარი ხომ შეუფერებელი და მოუმზადებელია. და, აი, უკვე მომზადებული მსახიობი ნ. ჩხეიძე და ნ. დავითაშვილი იძულებული ხდებიან ემსახურონ მათთვის სრულიად მოუმზადებელ ქართულ თეატრს! ეს ბიჭდაბიჭ მსახიობის ტრაგედია და ეს ტრაგედია ნ. დავითაშვილსაც ეწყეა.

მსახიობქალი მეტად შეთაეკილი და შეგრეგილია. ქართულ სცენას თითქმის დაჩრდილული ჭეკვეს ეს ძალიერი ნიჭი. ხშირად, ძალიან ხშირად ეგენახავეს ქალი ნ. დავითაშვილი სრულიად შეუფერებელ როლში, სადაც მსახიობის ინდივიდუალური თვისება, თავისი „მე“ სრულიად ჩამქრალა და დაფარული. ასეთი მოეფრო-

ბა, ნიჭისთვის სახეთაოდ და სიზარდოდ მიეგვნია!

ქ-ნ დავითაშვილის განცდაკეკვეული რეპერტუარი აქვს. იგი დრამატიულ როლების ადმსრულებელია. ამას გარდა, სიუცხოვად ასრულებს ეროკვარ კომიკურ როლებსაც. აი თუნდაც „ეუდანის, დეკ ტოდსტოის პიესაში „მეუფეა წეკდიადისა“-ში, სადაც ნ. დავითაშვილი შეუდარებელია! უეურებთ და თქვენს ადტეტებას სიზ. დეარი არა აქვს, პირ-ტეზზე დიმიდი არ გეზარდებათ. ისე გპტეკეკებთ და გაკადოვებთ, რომ კვიეწეებინებთ თვით სცენის, თავიდან გაშორებთ ეოკეედკეარ ტრე ეფექტებს, ოეტრადეურ ტრადეარტს, ეადს პავთოსებს და მთელი სიტეტესდე შეაქვს სცენაზე. მსახიობქალი ამ მხატვრულ წერტილამდის მიდის, რომლის კადმოცემა ძნელია, მაგრამ რომლის აქით ტხოვრობს სიმშვენიერე და სიდამაზე, ბუნებრივობა და და სინაზე!

სიუცხოვად ასრულებს შაბდონურ ქეთევანის როლს, შაბდონურსავე „სიმშობდონი“. (ასეთივე გასაოცარი მაგალითი მოგვეცა რობეტს ადედგეიმში შაბდონურ გრ. გეს პიესა „სასჯელია“ კაცის როდის სიუცხოვო შესრულებით) სწორს მხოდად დიდი ნიჭი იმირეკვების დიდ სიეადებეზე. ქ-ნი დავითაშვილი ქეთევანის როდის შემქნელია, მისი სულის ჩამდგმელი. მსახიობქალის ეოველი კიმოსეკა, ეოველი სიტეკვა, ეოველი ნაბიჯი დასურულებული ტრაეუმია.

მოამზადებაკად ასრულებს სავეკერეკანინტიგონეს როდს. მშვენიერად აქვს შეკნებული თვით ანტიგონეს პირობეების და ნათდად ეოონდაწონილი მისი სულიერკეეობა. ძალიერი ხაზებით კადმოკვეტემს სცენას კრეონთან, იქ, სადაც უარგეოფს ადამიანის მიერ შექმნილ კანონებს და ასრულებს ღეთაებრივ მოვალეობას. ბეკრს არაფერს ვიტეკეით ნ. დავითაშვილის ანტიგონაზე ამის მეტს, რომ მიერ დასურათებული ანტიგონე—კლასიკურია.

ჩანებულად ასრულებს ზეინაბასაც. წეანარი, სადა ექსპრეკიათ კადმოგვეტემს ზეინაბ ედგოფდის ფარულ ტანჯვა-ვაებს და ეოველთვის დიდ ექსტაზს იწვევს ხოდმე მაეურებელში. ცოტა მოიუსტებს უკანასკნელ მოქმედებაში, სადაც კაკადა ზეინაბის ტრაგიკული კანცდა. ეს მეტად ძნელი სცენაა და ამის კარგა შესრულება მაგარ ძარღვებს და დიდ ტემპერამენტს მოითხოვს.

ქართველი:—იაფად და პირიანად
მამეულს ვყიდი კარიანად

მის რეპერტუარში სიუცხოვო როდად უნდა ჩაითვალოს ეგდითი („ურეედ ეკოსტაში“). ტაბეაურია ი. გედგვანიშვილის „მსხვერპლის“ ნატო როდში და სიკანგებოა ენგედის „ზდვასთან“ (ედეიკე) და ჭეუბტმანის „ეზის ადმოსავლის წინადა“-ში (ედეენ). სასურეედია ამისთანა პიესებში ხშირად კამოდიოდეს ხოდმე, რათა შეეძლოს თავისი ნიჭის ფრთების გაშდა.

ადსანიშნავია მსახიობქალის ბდასტეკა, რაიც ჩვენს სცენაზე ეშეკითი მოგდენია! სავეარადდებოა მისი სასიმ ტემბრის ხმა და კანსკეუთრებით კი მდიდარი მიმიკა, ოაძრავი, კამამეტეეეადი სახე. და ამიტომაც არის, რომ ნ. დავითაშვილის ძალიან ეხერხება ხასიათოდკეარი ტიპების კარდმოცემა, მათი ჩამოყალიბება მშვენიერ მხატვრულ ფარგლებში.

მსახიობქალს ერთი ნაკლი შეეინიშნეთ: ქ. დავითაშვილი ხშირად მოამზადებს მაეურებელს დრამატიული კანცდასთვის და სწორედ ამ დროს, რომელსაც უნდა კამოიჩინოს სავმთო სიძლიერე, და კამოიწეითოს კედწრფეედი თანაგრნობა, იქ შეაბეკდიდებს აკარწყედეს: მაეურებელი ამას ვერ იგებს, რასაც მოეოდა. ნ. დავითაშვილი კონკერი მსახიობია და ამ ნაკლს ადვილად აიცილებს.

მსახიობქალი ამ ეამად ჩვენს სცენაზე ერთ სავეკეოესო ძალად ითვლება. მისი ნიჭი თანდათან ითეურჩენება და იზრდება, რომელიც მოითხოვს ფარფო და თავისეეფად ეზსა. ნ. დავითაშვილი დიდსეეფად ემსახურება ქართეულ შემდგომენს და დიდსეეფადვე უნდა დაადაფინოს!..

ვასტანგ გარრიკი

ქეთო ანდრონიკაშვილი

ანნა ნადარაძე

ელენე ქორუმაძე

მარიამ ნაკაშიძე

ბარბარე წულუკიძე

თამარ გელოვანი

თამარ ეთეთანი

ნატ. ჭრელაშვილი

ალ. მაყლაშვილი

ნიკ. მასხარაშვილი

დავ. აწყურელი

ელო ანდრონიკაშვილი და შალვა დადიანი

დავ. შეკლიძე

ნიკ. ასაშნელი

შ. ხონელი

დადო ბერეჭკორი

არ. ახობაძე

გრ. მიქელაძე

ნინო ჩაგუნავა

გრ. მაყლაშვილი

გასულ 1914—1915 დასი

მ. მარჯანიშვილი

ან. ჭუბუ ბურაძე

გ. მატარაძე

ნიკ. სალეარულიძე

ა. ჟორჟოლიანი

ილ. ზურგაძე

ნ. შაყლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიჭვის ხე

I

ერთს ტყისა პირად შეყვარებული ფიჭვის ხე იდგა განმარტოებით,
იგი მთელი დღე სატრფოს ელოდა, და ირხეოდა მწვანე რტოებით.
რა ვარსკვლავებით მოირთვებოდა თვალ უწვდომელი ცისა ტატანი,
უფრორე ენებით ადელდებოდა მაშინ სათუთი ფიჭვის ტანი.
ამ დროს ლოდინი უმართლდებოდა, ესტუმრებოდა ტყის დედოფალი,
ესტუმრებოდა ოცნების კერპი და მისი გრძნობის მფლობელ-უფალი...
ზღაპრული იყო მისი ქმნილება, თორემ ამ ქვეყნად ვით ჰნახავს თვალი.
მაცდურ ლეგენდას ჰქმნიდა გარშემო სადაფი, კბილად გამონათალი,
შუბლს უმშვენებდა ვარდის გვირგვინი, მხრებს — თმა ლამაზდ ჩამონაშალი,
და მის ნაზ სხეულს ისე ჰქარგავდა ფიჭვის ფოთლების მომწვანო შალი.
ჩამოჯდებოდა ის ფიჭვის ძირად და მოჰყვებოდა ღვთაებრივ ზღაპრებს,
მოიგონებდა ფერიათ მეფეს, ფერიათ მამებს, იმათ წინაპრებს
და მოჰყვებოდა, თუ რა ენითა ესაუბრება ბალახი ბალახს,
და მოჰყვებოდა კიდევ სხვა მრავალს ყურით განაგონს და თვალით ნანახს,
ამოღებდა ოქროს სალამურს, აატირებდა, ააკვნესებდა,
ფიჭვიც დაჰხრიდა დაბლა თვის რტოებს და ფოთლებითა უალერსებდა...
მაგრამ სხვას გაჰყვა ტყის დედოფალი, ზურგი უჩვენა იმან ძველ ამურს,
და სხვას შესწირა ლამის ლოცვები, სხვასთან უკრავდა გრძნობის სალამურს,
და რა ისმენდა სალამურის ხმას, სტიროდა ფიჭვი დამწუხრებული,
და იდგა ისევ განმარტოებით, არვის ელოდა დაფიქრებული,
ხოლო მის ცრემლებს ფრთა ცქვეტი სიო, მიმოაფრქვევდა ველად, მთა-ბარად
და ნაშთი ძველის სიყვარულისა იქ იკმეოდა ნაზ მუშკ-ამბარად...
ეხლაც, ოდესაც ფიჭვს აგონდება — სხვას ევლინება ფერია დარად,
ისევ ისე სდგას განმარტოებით და ისევ ისე ქვითინებს მარად...

II

ვით დედოფალმა დასტოვა ფიჭვი, ისე დამტოვე, თვალისა ჩინო,
და მინდა მოვჰკლა ჩემში წარსული, თვით მოგონებაც არ დავარჩინო,
მაგრამ რა წამსაც მე გავიფიქრებ, რომ შენ სხვა გეტრფის, სხვა გიალერსებს,
ველარ ვაკავებ სულის სიღრმიდან ამონახეთქსა სევდიან ლექსებს
და მინდა მაშინ ჩემი ლექსები მკითხველთა თვალში გარდიქცეს ნარად,
რომ ვერაგული შენი ღალატი უცნობთა სულშიც სცოცხლობდეს მარად.

გ. მეგრელიშვილი

ბაქოს სეზონი

(1914—1915)

წარსულ მეზონს ქ. ბაქოში მართავდა ქ. შ. წ. კ. გ. ს. ბაქოს განყოფილებასთან სებული დრამატიულ სექციის კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარე იყო თავ. მ. ი. თაქთაქიშვილი, მდივანი — ჯერ პ. ქარუმიძე, შემდეგ არტ. ახობაძე; ხაზინადარი — დავ. თედეშვილი. კომიტეტისავე წევრები ივნენ: ბბ. ალხაზოშვილი ალ., აწყურელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავ., თურქია ივ., მარჯანიშვილი მიხ., პავლიაშვილი გრ., ქიქოძე ვას., ჭანტურიშვილი სიო და ხუჟუა ვას.

ამ კომიტეტს თავის შორის გამოყოფილი ჰყავდა სპეციალური კომისიები: სარეკვიზიო, საადმინისტრაციო, სარეპერტუარო და ზოგჯერ-ც საგანგებო რომელიმე რ-ული წარმოდგენის ან საღამოს მომწყობი და ხელმძღვანელი.

რეჟისორად მოწვეული იყო შალვა დადიანი, მსახიობქალად ელო ანდრონიკაშვილი, ორივენი რვა თვით და თვით სეზონიც ამის კვალობაზე გაგრძელდა, 1914 წლის 21 სექტემბრიდან 1915 წლის 26 აპრილამდე.

ამ ხნის განმავლობაში სულ გაიმართა 30 წარმოდგენა ბაქო-ბალახანაში: 28 ბაქოში, 2-ც ბალახანაში. ამ უკანასკნელ ალაგას დრ. კომიტეტი კიდევა ფიქრობდა წარმოდგენას, მაგრამ ერთად ერთი ადგილი, სადაც წარმოდგენების გამართვა შეიძლებოდა (ადგილობრივ საკრებულოს დ-რბაზი) სხვის მიერ დაჭერილი შეიქმნა.

წარმოდგენილი იყო შემდეგი პიესები:

ქართველ ავტორებისა, ორიგინალური: აკაკის—„პატარა კახი“, გედევანიშვილის—„სინათლე“ 2-ჯერ და „მსხვერპლი“, 2 მოქმ., დადიანის შალვასი—„შენი ჭირიმე“, კლდიაშვილის—„დარისპანის გასაჭირი,“ ნაკაშიძე ნინოსი—„ვინ არის დამნაშავე?“, რამიშვილის—„დედინაცვალი“, სუმბათაშვილის—„ღალატი“, ფოცხვერაშვილის—„აშენდა საქართველო“, ყიფიანის—„სამეგრელოს მთავარი ლევან“, შალიკაშვილის—„უნიადაგონი“, ცაგარლის—„გულჯავარ“ და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ჭავჭავაძის „დედა და შვილი“ და ჭანტურიშვილის—„ბურუსი“, სულ 15 პიესა; კავშოკეთისაგან: გუნიასი—„აღლუმი“, „და-ძმა“, „ციხის საიდუმლო“; დადიანის—„ბატონი და ყმა“, „ბედის ტრიალი“, ერისთავისა—„სამშობლო“, სულ 6 პიესა.

უცხოელ ავტორებისა, ნათარგმნი: ბიერნსონის—„გაკოტრება“, გოგოლის—„რევიზორი“, ზუდერმანის—„მამულ-დედული“, ჩიკოვის—„სახელმწიფო საგარეო“, ფულდის—„ჩერჩეტი“, შენტანის—„ჯამბაზები“, ჰაიერმანსის—„იმედი-ს დაღუპვა“, ჰაუპტმანის—„ჰანნელე“, სულ 8 პიესა.

ამას გარდა წარმოდგენილ იქმნა სხვა-და-სხვა მხიარული ვოდევილები, აგრეთვე გაიმართა დივერტისმენტები და საკონცერტო განყოფილებანი სხვა-და-სხვა დროს მომღერლების ივ. სარაჯიშვილისა, ვარდენ ლორთქიფანიძისა და ანტ. ჭუმბურიძის მონაწილეობით.

ბალახანაში კი წარმოდგენილ იქმნა „უნიადაგონი“ და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

წარმოდგენებში, გარდა ჯამაგირით მიწვეულ მსახიობთა (ელო ანდრონიკაშვილი, შალვა დადიანი), დრო-გამოშვებით მონაწილეობდენ საგასტროლოდ ქბ. ნინო დავითაშვილი („პატარა კახი“, „ღალატი“), ნინო ჩხეიძე („მამულ-დედული“) და აგრეთვე მსახიობნი ქართული სკენისა ქეთო ანდრონიკაშვილი, დავ. აწყურელი და შალვა ხონელი ამ ს გარდა ორჯელ მონაწილეობა მიიღეს „სინათლის“ წარმოდგენაში ბ-ონ ამირაგოს საოპერეტო დასის გუნდმა, ორკესტრმა და ბალეტმა. საზოგადოთ-კი წარმოდგენებში მონაწილეობდენ, დასახელებულთ გარდა, უფრო მუდმივთ: ქბ. გელოვანი თამარი, კვაჭაძე თამარი, ნაკაშიძე მარიამი, ქარუმიძე ელენე, ყიფიანი თამარი, ჩაგუნავა ნინო, წულუკიძე ბარბარე, ჭელაშვილი ნატალია. მათ შორის ყველაზე მეტი მონაწილეობა მიუღიათ ქბ. წულუკიძეს 22-ჯერ, ქარუმიძეს 15-ჯერ, ჭელაშვილს 13-ჯერ და ნაკაშიძეს 10-ჯერ. ამათ გარდა წარმოდგენებში დრო-გამოშვებით შემდეგი მანდილოსნები ღებულობდნენ მონაწილეობას: ამაშუკელი მარ., ბუდაგაშვილი, ღუმბაძე, კანდელაკი, ნადირაძე ანნა, ჟუჟუნაშვილი, ჩხენკელი. მამაკაცებში მუდმივ მონაწილეობდენ: ამაშუკელი ვლ., ახაშნელი ნიკ., ახობაძე არტემ, გეგეკკორი ლადო, ზერეკიძე ილია, ლოლუა არქ., მარჯანიშვილი მიხ. (მოკარნახე), მასხარაშვილი ნიკანორ, მატარაძე გიგა, მიქელაძე გრ., პავლიაშვილი გრ., პავლიაშვილი ალ., საყვარელიძე ივ., ქარქაშაძე სანდრო, შავდია ნ., შველიძე დავით, ჭუმბურიძე ანტონ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაფარიძე მიზეილ, ხონელი შალვა. ამათ შორის ყველაზე მეტი მონაწილეობა მიუღიათ გრ. პავლიაშვილს 27-ჯერ, ალ. პავლიაშვილს 24-ჯერ, გ. მატარაძეს 23-ჯერ, ჭუმბურიძეს 23-ჯერ, შალვა ხონელს 20-ჯერ, არტ. ახობაძეს 15-ჯერ. აგრეთვე დრო-გამოშვებით მონაწილეობა მიიღეს ბბ. ბოხუამ, დარასელიამ, დეკანოიძემ, ებანოიძემ, კიკნაძემ და პლ. ლეკავამ.

წარმოდგენებს საერთოდ საზოგადოება ხალისიანად ესწრობოდა და სულ სეზონის განმავლობაში (21 სექტ. 1914 წ. 26 აპრ. 1915 წ.) 15000 მაყურებელი დასწრებია.

შემოსავალი ერთი მეორეზე წარმოდგენებს ჰქონია 230 მანეთამდე, ასე რომ წინა სეზონებთან შედარებით შემოსავალს დიდათ უმატნია. ხოლო თუ დრ. კომიტეტმა წელს მაინც ცოტაოდენად იზარალა, ეს როგორც ანგარიშიდანა სჩანს, იმდენათ ამ სეზონის ბრალი არ არის, რამდენათაც წინა წლებისა. წინანდელი ვალი კვალში სდევდა წლევანდელს სეზონსაც და მისი მოკრობა ვერ შესძლო ამ სეზონმაც. მით უფრო, რომ რამოდენიმე წარმოდგენა, რომელიც დიდ შემოსავალს უქადდა სექციას, მაზე დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ გაიმართა როგორც მაგ. კონცერტი ბ. კ. ფოცხვერაშვილისა, რომელიც აკაკის მიცვალების გამო გადაიდო. ორი მორიგი წარმოდგენაც ყველერის კვირეში ამავე მიზეზის გამო არ შესდგა. გადადებულ იქმნა აგრეთვე გარეშე მიზეზთა გამო განზრახული აკაკის საღამო და ბაკოს ქართულ სკენის 10 წლის არსებობის აღსანიშნავი წარმოდგენა.

ყველა ამან კი ხელი შეუშალა, რომ გასულს სეზონს ყველი ზარალიც დაეფარა*). ისე კი ამ სეზონთაც ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ უკეთუ წარმოდგენების სქემერიგიან დონეზე იქმნება დაყენებული, ?ბაქოს ქართველობა მას მუდამ მხრს დაუჭერს და თვით შემოსავალიც კი წაუძღვება საქმეს. ხოლო, როგორც განზრახულია, თუ წ. კ. ს—ს ადგილო რივ განყოფილების მიერ დრ. სექციას წლიური სუბსიდიაც ექმნება, თქმა არ უნდა, ეს საქმეც დიდათ მკვიდრ ნიადაგზე დადგება.

ვიდა

*) თუმცა ფაქტიურად ზარალი არა აქვს დრამატიულ სექციას, რადგან წ. კ. ადგილობრივ კანუფიდების კომკომამ ეს დანაკლისი უკვე კადაიხადა და ჩრიცხა თავის ანგარიშში ისე, როგორათაც ბაკოში ქართულ წარმოდგენების მოსაწყობი ფული, უკეთა ვსთქვათ, რა-კორტ ერთ-კვარი ხუბსიდია.

ბედნიერი დღე

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 36)

აპოლ. (მოგზედავს და შეუბდეგრს) ვიტყვი მხოლოდ, რომ დღეს ი?ვიათია ჩვენში ქართველი დედა, ქართველი ქალი და თუ ასეთები მოიპოვებიან დღეს, ისიც მხოლოდ სოფლად, ქალაქმა სულ გარყვნა ჩვენი ბარიშნები. ყოველი ქართველი დედის ვალია ქართველი შვილი გაზარდოს. თქვენ შეასრულეთ თქვენი ვალი. მაშ გაგიმარჯოთ თქვენ. (ეუბდანი ტაშს უკრავენ, დანარჩენებიც სვამენ სადეგრეძელდოს)

სონა (იდგების ჭიქას და ადდეგრძელებს) „მამა“ შენი „ზდოროვიე“ იყოს! (დადეგს, კადახედავს გაოგრის, რომელიც რადგანს ათვადიერებს სუფრაზე, ქალის მოსამსახურეს) მელანო! მელანო! (შემოდის შედანო) ჩქარა „ვილკა“ მოიტა! (შედანო გაბრის. ედგის) რა უბედურეაა, ამდენ ხანს ვერ ისწავლა, რ-მ „ნოეტები და ვილკები“ საკიროა. (შემოდის შედანო და მოიტანს დანა-ჩანგალს)

თებ. (კაკავერებული) უ ჩემს თვალებს! (შედანოს) შე დასაბრმავებელო ეხლა უნდა „ნოეტ“ და „ვილკის“ მოტანა? გასწი (შედანო კადის. კიოგრის) მაპატიეთ, ბატონო გიორგი.

გიორ. (იცინის) არაფერია, არაფერი, ბატონო

სანდ. (იდგების ჭიქას და წამოდგება) გამხიარულდით, გამხიარულდით ბატონებო! ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს, ბატონო ?ბანტე, თქვენი ღვაწლი სამშობლოისა და ოჯა-

ხის წინაშე დაუფასებელია. იოცოხლეთ მრავალ ეამიერ! (დადგეს) აბა მრავალეამიერ!

აპოლ. (სონას) გთხოვთ დაიწყოთ! თქვენ უთოოდ კარგად მღერით.

ყველანი. გთხოვთ! გთხოვთ!

თეკ. აბა, შვილო, დაიწყე.

სონა. არ შემიძლია. (ნაზობს **და** აგრძელებს)

აპოლ. გთხოვთ! თურმე მშვენიერი ხმა გაქვთ და ჩვენც გაგვგონეთ.

სონა. ღმერთმანი არ შემიძლია (იწყებს რუსულ კიდობზე „მრავალ-ყამიერს“ დანარჩენები მას აჭყვებიან)

აპოლ. (როცა სიმღერას კაცთაგებენ ტაშს შემოჭერაგს) ვაშა! ბრავო! ვაშა! ბრავო! (ყველანი ტაშს უკრავენ, ზოგი ყაშს იძახის, ზოგი „ბრავოს“, ყველანი შეზარხოშებული ხრიან და ერეულ-ერეულად დაბრაკობენ)

გიორ. (იდგებს ჭიქას) „გოსპოდა“ დღეგანდელი დღე ბედნიერი დღეა ჩემთვის. დღეს პირველად ვარ ნამდვილ ქართული ოჯახში, დღეს პირველად ვხედავ ნამდვილ ქართველ ხალხს, მესმის ნამდვილი ქართული. ყველა ამის მიზეზი არის ეგნატე პროკოპიჩი, რომელმაც ფენდამენტ ჩაუყარა ასეთ ოჯახს, ამდენი ხნის განმავლობაში ულოდა, ამშვენიერებდა და დღეს ჩვენ დაგვატკბო მისი ხილვით. ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს, ბატონო ეგნატე. (დადგეს)

აპოლ. (წამოდგება და ჭიქას აიდებს. სადმე ჩამოაწყვეს სერთუკის კაღთას, ამოდგა დაიკუზება და ეკითხება) რა გინდა, დედაჩემო?

სალ. (ჩუმად) **აბა,** შენ იცი შვილო, რაც შეგიძლია ბევრი სთქვი, აქე ძალიან. (იდაშება და თავლებში შესტვრის).

აპოლ (ხელს კაკუნებენს. გაკვირვებით) თავი დამანებე! (ეგნატეს კენ ბარს მიაბრუნებს) ბატონებო! **დღეს** მეც პირველად ვარ ისეთ ოჯახში, სადაც ყველფერს ქართული ეფერი აღეგს, დღეს პირველად ვარ ისეთ ოჯახში, სადაც ქართულ ენას პირველი ადგილი უჭირავს და დიდი „პაპოტით“ ეპყრობიან; დღეს პირველად ვარ ისეთ ოჯახში, სადაც ყველას ქართული ღიმილიც კი უკრთის პირის სახეზე. ეს ოჯახი აშენებულია ბატონ ეგნატეს მიერ, აქ მას აკვანი დაუდგამს ქართული ენისთვის, ყოველივე ქართულის თვის და შვილივით გაუზრდია. აქ შენახულა ხელუხლებლად ჩვენი ენა, ზნე, ჩვეულება და სარწმუნოება. ჩვენი ინტელიგენციის ვალია არა თუ მარტო შეინახოს და დაიცას ქართული ენა, ქართული ოჯახი, „ნაშ დოლგ გოსპოდა“ ყოველივე საშუალება ვიხმაროთ ასეთ ოჯახების გამრავლებისათვის. ვსვამ ეგნატე თქვენს სადღეგრძელოს, გაუმარჯოს თქვენს ოჯახს და ჩვენს საქართველოს. (ყველანი ჭეკვარიან „გაუმარჯოს, გაუმარჯოს“ ამოდგან ეგნატეს ჩაჭკოტნის და დადგეს).

სონა (დამიდგა. ჭიქას აჩეკენებს ეგნატეს „პაპა! პაპა!“ გაგიმარჯოს! (მოსვამს დგინოს და ჭიქას დასდგამს)

ეგნ. (დამიდგა) მადლობელი ვარ, დუშკა, მადლობელი!

კოტე (წამოდგება) ბატონებო! როგორც ვატყობ, ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი სუფრა ბაბილონის გოდოლი შეიქმნება. მე მინდა ვისარგებლო შემოხვევით და ორი კარგი სადღეგრძელო გავაკეთო. მოვსთ სხვა ენაზე ლაპარაკი და ცოტა ფუილიც მოვაგროვო. წინადადებას ვიძლევი: ვინც სხვა ენაზე დალაპარაკოს გარდა ქართულისა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სასარგებლოდ გადაიხადოს ერთი მანეთი შტრაფი. (ყველანი სიშინელს ხარხარს სტუნენ)

სანდ. (ხარხარებს) თანახმა ვართ, თანახმა! და რადგანაც, ბატონო კოტე პირველად თქვენ მოიგონეთ და პირველათვე თქვენ შესცდით, ჩაადგეთ ტანანში მანეთი ჯარიმა და არა „შტრაფი. (ყველანი იცინიან კოტე გაწითლდება, ამოიდებს ჯიბიდან მანეთს და ჩაჯდებს ჭიქაში)

გიორ. (ხარხარებს) და რადგანაც, ბატონო სანდრო, სიტყვა სტაქნი ქართული არ არის და თქვენც „აშიბკად“ მოხვედით, გთხოვთ თქვენც ჩამ ამოიძანოთ აქ ერი მანეი (მიუშვერს ჭიქას. სანდრო იცინის. ჩასდებს ფულს. გიორგი დასდგამს ჭიქას)

აპოლ. (იცინის, მიუშვერს ჭიქას გიორგას) და რადგანაც, ბატონო გიორგი, სიტყვა „აშიბკა“ ყოველივე ქართულ სიტყვიერე-

ბას მოკლებულია, ასეთ „ნედლროზუმენიესთვის“ თქვენც ჩასდეთ მანეთი (საყრელ ხარხარი. გეორგი ჩაუგდებს მანეთს. ამბოდინი დასდგამს სტაქანს და ამბობს ოვაგ მადდა ასწეგს, რომ ეველას აჯობა)

სალ. (სიხარულით სკამზე ვეფარ დგება) ყოჩაღ შვილო, ყოჩაღ! ყველას აჯობე.

ეგნ. (იტინის. ბიდებს ჭიქას და ამბოდინს მიუშვერს. ამბოდინი გაოცდება. სადმე ეურებს ჩამოაწოს და გაშტერებული ეურებს) და რადგანაც, ბატონო ალოლო, სიტყვა „ნედლროზუმენიე“ ერთობ გელია და ქართულ სხარტულ სიტყვას ვერ შეეფერება, ამიტომ თქვენც ჩამოაყუდეთ აქ მანეთი. (ე�dანი ხარხარებენ)

სალ. (დოკუზე ხელს შემოიკრავს) ეი, დამიდგა თვალები! შემარცხვინე, შვილო?

ალოლ. (შეტად გაწყენილი. გაჯავრებით) თავი დამანებე, შენ სულ დავთარი დამიბნიე. (ამოიდებს სოფელს და ჩაუგდებს მანეთს)

სონა. (ბარხარინად. არ ესაამოვნა, რომ ამბოდინიც ჩაეწრა ფულებს ბაბეკენებს) ბაბა?

ეგნ. (სიცილით მიუშვერს ჭიქას) მანეთი. (სონა იტინის. ჩასდებს მანეთს. ეველანი იტინიან და ტაშს უკრავენ)

თეა, (იტინის) ყოჩაღ, ყოჩაღ ჩემო სონა! აგრე იცის „კაპრიზიანობამ.“ (საყრელ ხარხარი ასტეგდება)

ეგნ. (მიუშვერს ჭიქას თეატრის) საღამო მშვიდობ-სა! სიტყვა „კაპრიზიანობა“ ღირს მანეთი. (თეატრ იტინის. ჩაუგდებს მანეთს დასდგამს წინ ჭიქას) გადავრჩით, ბ ტონებო, მე და სალომე და რადგანაც ჩემთან გაჩერდა ჭიქა, ჩემი ვალი ხვალეე გავეგზავნო ეს ფული წერა-კითხვის სასოგადოებას, ხვალ აუცილებლად გავგზავნი „ბერეევოდით“. (ხაშინჯდი დრიანცეადი ასტეგდება. ტაშს უკრავენ ეგნატეს)

სან. (გამოაერთმევს ჭიქას და მიუშვერს) და რადგანაც, ბატონო ეგნატე, სიტყვა „ბერეევ-და“ ქართულ სლოვარში არ სწერია, საჭიროა აქ თქვენი მანეთიც. (ეგნატე ხარხარებს. ჩასდებს ფულს)

კოტ. [სიცილით) და რადგანაც ყველას ქალბატონმა სალომემ გვაჯობა, ამიტომ ფულები უნდა ჩაბარდეს მას და ეთხოვოს გაგზავნოს დანიშნულებისამებრ. (დაუდგამს წინ ჭიქას)

ყველანი (იტინიან) ვაშა, სალომე! გთხოვთ! გთხოვთ!

ს ლ. (გაეცინა) უმიე! არა ბატონებო! რა ჩემი საქმეა. მე არც კი ვიცი ფულები როგორ იგზავნება ჩემს ოდეში არავისთვის არ გამიგზავნია. ალოლონს სულ მუდამ განსვენებული ჩემი ქმარი უგზავნიდა. მე მხოლოდ „პროსტოი“ წერილებს ვუგზ ვნიდი. (საყრელ ხარხარს დასასრულდა არ აქვს. ტაშს უკრავენ, სადმე დარცხვენილი კამოაეურება. არ იცის რა მოხდა)

პ. ირეთელი

(გაგრეელება იქნება)

ქართული სახიობა

სახალხო სახლში წრომ სეზონი დაიწყო შაბათს, 5 ენკენისთვეს, ჭეიერმანსის „იმედის დაუპვით“, უცხო პიესით, რომელშიაც სიღარიბე და სიმდიდრე, მადა გაუმაძღარი მყვლეფელი და გადატაკებული შრომის შვილი, საზოგადოებრივი უსამართლობა ცხოველი ფერადებითაა დასურათებული.

ასეთს—და საზოგადოთ ყველა—პიესას დიდის სიფრთხილით უნდა დადგმა, რომ მხედველობა, მსმენელობა და მშვენიერების გრძნობა მაყურებლისა არ შეიბღალოს. ხსენებული საღამოს სისრულე ირღვეოდა. პირველ ხარხსოვან მსახიობთა და ნიჭიერ სცენის მოყვარეთა გვერდით ყალბის მქნელთაც ვხედავდით: როლის ტაკიცედ უცონელად, უგრიმოდ და უშნო შესამოსით სულ არ უნდა გამოვიდეს მსახიობი. (მაგ. ყურს ეხამუშებოდა ხშ რი: „როდესაც რომა“, „შენ რომ, ჭკვა რომ“ და სხვ.) ნ. დავითაშვილმა (ია), ი. ზარდალიშვილმა (ბოს), მ. ჭიაურელმა (კაპს), ტ. პიერტაშ (მარტი) და ნიჭიერმა სცენის მოყვარეებმა ნ. გოცირიძემ (კობუს) და გ. ანაშვილმა (დანტი), მშვენიერი ხატებანი შეჰქმნეს, განსაკუთრებით ნ. დავითაშვილმა მესაზმე მოქმედებაში. ღირსეული იყო ს. რომანიშვილ-დგებეაძისა (მატილდა), ს. ჰეპანოვი თითქო უცხო სტუმარიაო, ხანდისხან თუ როლში შევიდოდა, ხანდისხან ძაფი უწყდებოდა, გრიმიც არ უვარგოდა; ქ-ნი ბარათაშვილი გვარიანი მეთვეზნის ქვრივი იქნებოდა, ხმა რომ შვენოდეს. ხმის დაშუშვება ეპიჩვეა, ქ-ნი ერისთავის (მენტინა) სანუგეშო იმედს იძლევა. დანარჩენ სცენის მოყვარეთ მეტი გულწრფელობა რომ გამოეჩინათ და სიყალბისთვის გზა აეკეცინათ—სჯობდა. ხალხი, განსაკუთრებით მოზრდილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაობა, საკმაოდ დაესწრო. სამწუხაროდ დარბაზში წესიერება ირღვეოდა; უზომო ღრიალი, სტვენით და სკამების ბრახა-ბრუხით. ხალხმა თითონვე უნდა დაიცვას წესიერება და მოწიწებით მოეპყრას ხელოვნების სამლოცველოს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ წრეშ გონიერული წესი შემოიღოს—მსახიობნი არ გამოვიდნენ თავის დასაკვრელად და მაშასადამე უზომო გამოძახილი—ზედმეტია.

უსპამენ.

ქართ. მსახიობთა ამხანაგობამ კვირას, 6 ენკ. ხარფუხის კლუბში წარმოადგინა ოპერეტა „ნატვრის თვალი“, ტ. აბაშიძისა, ალ. იმედაშვილის, დ. მგალობლიშვილის, შ. საფაროვისა და სხ. (ონაწილეობით და პოლიკარპე ფალიაშვილის ლოტბარობით. აუარებელი საზოგადოება დაესწრო. წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა. გვიან დაწყებას რომ მოიშლიდენ—უჯობთ. ამავე პიესას „13 ენკენ.“ „ახალ კლუბში“ წარმოადგენენ.

— რი

ნავთლუღის საკვადრაკოზოში დაავადებულ-ბერილ ჯარის კაცთა გამნაწილებელ სადგომში, ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ ვ, გუნია, გამგეობით 8 ენკ. წარმოადგინა „შვენიერი ელენეს მაძიებლნი“ და „სოფლის ფერშალი“. ბოლოს გაიმართა სიმღერა-ცეკვა. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ტ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, დ. მგალობლიშვილი და სცენის მოყვარენი. დარბაზი გაჭედილი იყო ავადმყოფ მეომრებითა და ადგილობრივ მოსახლეობითაც. დამსწრენი ძლიერ კმაყოფილნი დარჩნენ.

გ—ლი

ხარფუხის კლუბის მამასახლისთა საბჭომ, ქ-ნ ნინო ბეგ. ყიფიანის დისახლისობით, 8 ენკენ. აპარელთა სასარგებლოდ სეირნობა გამართა. მიუხედავად იმისა, რომ სეირობის გამართვას სულ ორ დღეში შეუდგენ. შესაფერად იყო მოწყობილი და აუარებელი ხ ლხიც დაესწრო, ნამდვილი ხალხი,—ჩვენი ინტელიგენცია კი არ სჩანდა (ამავე ღამეს „ახალ კლუბში“ რუსულად ოპერეტა „შვენიერ ელენეს“ არდგენდენ და იქ ბრძანდებოდენ). სეირნობა ნამდვილ ხალხურად იყო მოწყობილი,—სხვა და სხვა სათამაშო გასართობები, სინემატოგრაფი, ქართველ მომღერალთა გუნდი, სახანდარი, ზურნა, მუსიკა და სხ. ბაღის სხვა და სხვა კუთხეში მოეთავსებინათ. სეირნობა დაიწყო ნაშუადღეს და ნაშუადამემდე გაგრძელდა, როგორც ვსთქვეთ უმეტესად ქართველი დემოკრატია იყო და თაორობა, რომლებიც სიამოვნებით ეწევოდენ საქველმოქმედო მიზანს. წესიერება არ დარღვეულა და ხალხი ნასიამოვნები დაიშალა. შემოსავალი დაახლოვებით 2500 მანეთამდე იქნება.

დამსწრე

ლაგოდეხში, კვირას, 30 აგვ. „შრომა—ლაგოდეხის სტენის მოყვარეთა წრემ“ გამართა მეექვსე მაორიგი წარმოდგენა ითარეშეს ქართველთ: „სიკეთიანი ჩრდილოელნი“, დრ. ეტ. 1 მოქ. ერთაწმინდელის და „ჭკუის მჭირს“ კომ 1 მოქმ. ცაკრდელის, რუსულად: „Сынъ вѣ рукуѣ ѣуШе. 1 მოქმ. ალაზანელის და „Черезъ двѣсти лѣтъ“ ვოდ. 1 მოქმ. ლრეანინისა. მონაწილეობდნენ: ქ.ქ: ს. ლინჯაშვილი, ზ. მუსლოვი, ნ. თანდილაშვილი, დ. ალსტრეტოვი ბ.ბ: ი. ბოსტანეშვილი, გ. ნარინდოშვილი, ა. ტეგიშვილი, ა. ბოდერძოვი, ა. ვეჩნაძე, კ. ალსტრეტოვი და გ. ჩიკვაძე. თუ შინაშენელი დეფექტებს არ მივაქცევთ ეურადღებას წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა მაყურებლებზე. ეოველი მოთამაშეს ხელს ეწეობდა წარმოდგენის მწყობრად ჩატარებას. თეატრი ხალხით გაჭედილი იყო და ნასიამოვნები დაიშალა ღამის 12½ სკაოზე.

რეცენზენტი

ოზ. ამაშუკეთში (შორაპ. მაზ.) 3 აგვ. წარმოადგინეს „და-ძმა“. წარმოდგენის დაწყებამდე მასწ. არ. რამინიშვილმა ხალხს მოკლედ გააცნო ჩვენი პიესის ვარსკვლავი ეაკა-ფშაველა. ახალგაზდა მგოსანმა სიმ. წეველმა ეაკას შესახებ დაწერილი თავისი ლექსით ცრემლი მოჰგვარა საზოგადოებას. მისი ლექსი ხალხმა ფეხზე დგომით მოისმინა. გრძობიერი ლექსი წაიკითხა ავრედვე მასწავლ. ალ. ხარატიშვილმა. რეჟისორ ს მეცადინეობით პიესამ მოლოდინზე უკეთ ჩაიარა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდ ნინო გაჩეჩილაძის ასული (გადია) თავისი შეგნებული თამაშით და სიმ. წეველი (ოტია) შესაფერი დაიქცია მომიკით. თინა ამაშუკელი (მარინე) I და IV მოქ-ში სუსტობდა, მაგრამ II და განსაკუთრებით V მოქ-ში გამოკვეთდა, ა. სვანი (გაიოზი) დ. კიკნაძე (ფაშ.) შესაფერისნი იყვნენ, მხოლოდ ფაშა ხანდისხან უმიზეზოდ კანკალებდა. არა უშავდა ადამიას და გიორგისაც იაკ. ამამუკელი ყარა-ოღლისა და თურქის როლებს ასრულებდა.—პირველში კარგი იყო, მეორეში მოსუსტებდა. პიესამ კარგად ჩაიარა. დიდძალი ხალხი დაესწრო.

სტუმარი

წვრილი ამბები

ქართ. დრამ. საზ-ის გაგებულებამ ქალაქის სამმართველოს სთხოვა, სახ. სახ-ში დღეები დაუთმე ქართველ მსახიობთა ამხანაგობას წარმოდგენების სამართავადო.

საბურთალოს თეატრში გასულ კვირას საზოგადო კრებამ დაადასტურა წინანდელი არჩევნები.

სახალხო თეატრში ელესანიშვილის თაოსნობით ოპერა დაიწყება 15 ენკენისთვეს.

ვახ. ბარბარიკის პიესა „მოლიპულ გზაზე“.

ან. ერისთავ-ხოშტარიას რომანიდან გადმოკეთებული, მეფის მოადგილის სამმართველოს მიერ ნება დართულ იქნა წარმოსადგენად.

◆ **ალ. ბრ. ციმაკურიძე**, ახალგაზდა ნიჭიერი მხატვარი, თბილისის სარკინისგზო სასწავლებელში მიიწვიეს მხატვრობის მასწავლებლად. მხატვარი ფიქრობს ახლო მომავალში საკუთარი ნახატების გამოფენა მოაწყოს თბილისში.

◆ **მსახიობ ძალი ბ. ქილარჯიშვილი** ბაქოს დრამ. წრეს მიიწვია მდგომარე სწრნ სთვის.

◆ **სახალხო სახლის გაგება** ილ. აბრ. ჩუბინაშვილმა შეადგინა და უკვე ბეჭდავს სახალხო სახლში გამართულ წარმოდგენების თუ ხვა გასართობთა და მათზე დამსწრეთა რაოდენობის ორი (1913—14) წლის ანგარიშს, შემოსავალ-გასავლის აღრიცხვით. წინა წლების ანგარიშები უკვე დაბეჭდილია.

◆ **დღეს, შაბათს 2 ენკენ.** სახალხო სახლში ალ. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ვილჰელმ ჰენშელი“.

◆ **თელავში** თელავის წ. კ. ს. გაეყოფილებასთან შესდგა ქართ. დრამატიული წრე, წესდება შეიმუშავა და ეგზ. ერნატორთან გაგზავნა დასამტკიცებლად.

◆ **ქართ. კულტ. მოკავ. საზ-ის კრება** გაიმართება დღეს 12 ენკენ. დეპუტათა საკრებულოში საღამოს 8 ს.

◆ **ვაჟა-შფაველას ოქმოცის** წირვა-პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 13 ენკენისთვს დსდუბის ტაძარში.

◆ **ქართველი ქალი** ქეთევან კონსტანტინეს ასული მაღალაშვილი მიიღეს რუსეთის სამხატვრო უმაღლეს სასწავლებელში, მიუხედავად იმისა, რომ მთხოვნელი 300 იყო და მხოლოდ 30-მა ჩაბაბარა გამოცდა, ქ. მაღალაშვილია ერთი ამათგანია.

◆ **„ახალი კლუბი“** შეუდგა დამზვარ თავატრის დარბაზის გადაკეთებას, ხოლო ქართ. დრამ. სახ-ის გამგეობ.-ს-ი უარი უთხრა — წარმოდგენებისთვის დარბაზს ვერ დაგითმობთ, საერთო სასადილოსთვის გვინდა იგია.

◆ **რადგან „თეატრი და ცხოვრების“** საბეჭდი ქაღალდი გამოილია და გამოწერილი კი დროით ვერ მიიღო ჩვენმა ფირმამ, ჟურნალი დროებით ამ ქაღალდზე იბეჭდება.

დეპეშა

პეტროგრადი. 6 ენკ. გარდაიცვალ საიმ. თეატ. დამსახურებული მსაძიობ-ქალი სავინა.

მოზიზღბრძოლა

ქართველების გამაჰმადიანება ანუ ქართ. გათათრება“

აღწერილი და გამოცემული ხ. ჭიკინაძის მიერ, ამ დღეებში გასასყიდად გამოვიდა (225 გვ. 50 კ.) წიგნში მოთხრობილია, როგორ გაამაჰმადიანეს ყარსის, ართვინის, მუროლულის, შავშეთის, იმერხევის, დევეს-ქალის, ლივანის, ვეფრატის, სხალტის, ხულოს ხეობათა მაჰალების, აჭარის, ქობულეთის, ვაზეთ-სამცხის და სხ. ქართველები, როგორ იკარგებოდა ქართული ენა ზოგიერთ კუთხეში, ვინ იყვნენ ქართველ-ბეგ-ეფენდ-ეფენ-ეფენ-ეფენ